

## VIII მსოფლიო კრება განდგომილების კრება იქნება

მსოფლიო მართლმადიდებლობა შეშფოთებით ადევნებს თვალს მართლმადიდებელთა „მსოფლიო კრებისათვის“ მზადებას. განგაშის წერილები იწერება მრავალ ადგილობრივ ეკლესიაში (იხ. დანართები), რასაც ჩვენც ვუერთებთ ჩვენს ხმას. თუ რა იწვევს ჩვენს შეშფოთებას, ამის შესახებ რამდენადმე დეტალურად გადმოვეცით დამატება I-ში. აქ კი მოკლედ მოგახსენებთ შემდეგს: მსოფლიო კრების მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარემ, პერგამის მიტროპოლიტმა იოანემ მსოფლიო კრების გამართვის „აუცილებლობის“ შემდეგი მიზეზები დაასახელა:

- კრების მოწვევა მართლმადიდებელი ეკლესიის კრებისითობის პრინციპიდან გამომდინარე;
- ღმრთის ხალხის მოთხოვნა;
- არამართლმადიდებელთა მხრიდან მართლმადიდებელი ეკლესიის გაკიცხვა იმასთან დაკავშირებით, რომ იგი უუნაროა მოიწვიოს სრულიად მართლმადიდებელთა კრება მსოფლიო კრების სახით;
- რიგი შიდასაეკლესიო საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობა.

ყველა ამ დასახელებულ მოტივს, სინამდვილეში, არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნია. პირველი, მეორე და მესამე აშკარად გამოვონილი და ხელოვნური ხასიათისაა. მეტიც, იმის მტკიცება, რომ მსოფლიო კრებას ღმრთის ხალხი სულმოუთქმელად ელის, აშკარა ტყუილია, რადგან სწორედ ერისა და კლიროსის მიერაა მტკიცედ გაცნობიერებული, რომ კრება განდგომილებისა იქნება (ე.წ. „ავაზაკთა კრება“). ეს მოსაზრება რომ არც თუ უსაფუძვლოა, დავრწმუნდებით, თუ განვიხილავთ საკითხთა იმ წრეს, რომელიც განხილული იქნება მსოფლიო კრებაზე:

1. მართლმადიდებლური დიასპორა. მართლმადიდებლური გაერთიანებების იურისდიქციის განსაზღვრა ეროვნულ საზღვრებს გარეთ;
2. საეკლესიო ავტოკეფალიის სტატუსის ცნობის პოცედურა;
3. საეკლესიო ავტონომიის სტატუსის ცნობის პოცედურა;
4. დიპტიხი. მართლმადიდებლური ეკლესიების კანონიკური ურთიერთცნობის წესები;
5. დღესასწაულების საერთო კალენდრის დადგენა;
6. წესები და წინააღმდეგობები ქორწინების საიდუმლოს შესრულებისათვის;
7. მარხვის საკითხი თანამედროვე მსოფლიოში;
8. სხვა ქრისტიანულ კონფესიებთან კავშირის საკითხები;
9. ეკუმენისტური მოძრაობა;
10. მართლმადიდებლობის წვლილი ქრისტიანული იდეალების – მშვიდობის, ძმობისა და თავისუფლების – განმტკიცების საქმეში.

სავსებით ცხადია, რომ „კრება“, თუ შედგა, არ იქნება მსოფლიო, რადგან მსოფლიო კრების ბუნება, მისი მოწვევის კანონიკური წინაპირობები და განსახილველ საკითხთა რანგი სრულიად განსხვავებულია. მხოლოდ გარეგნული მხარე, ანუ მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპატის მოწვევა დიდი რაოდენობით არ ნიშნავს, რომ ეს კრება თავისი არსით მსოფლიოა და მისი გადაწყვეტილებები სავალდებულო ხასიათისაა. მსოფლიოობისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეფასდეს კრებაზე წარმოდგენილი საკითხები და დადგინდეს მიღებული გადაწყვეტილებების ჭეშმარიტებასთან შესაბამისობის ხარისხი.

კრება არც მართლმადიდებლური იქნება, რადგან დარღვეულია მემკვიდრეობითობის პრინციპი, – დაგეგმილი კრება აშკარად რეფორმატორული ხასიათისაა და მიზნად ისახავს არა წინამორბედ კებათა დაგენილებების განმტკიცებას, არამედ მათ შეცვლასა ან მსოფლიო კრებათა სულისკვეთების საწინააღმდეგო რეფორმებს (პასქალიისა და

კალენდრის, სასულიერო პირების მეორედ ქორწინების, მარხვების შემცირებისა და შესუსტების, კონფესიათა და რელიგიათა შორის დიალოგის, ერთობლივი ღოცვების, ეკუმენისტურ მოძრაობაში მონაწილეობისა და სხვა მიმართულებით).

თვით დაისპორის საკითხი, რომელსაც მსოფლიო საპატრიარქო განიხილავს როგორც „ახალ მოვლენას მართლმადიდებელი ეკლესიისათვის“, ასევე გამოგონილი პრობლემაა. მსოფლიო საპატრიარქოს მისწრაფება, გადაწყვიტოს ხელოვნურად შექმნილი ეს პრობლემა, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ იგი დაავადებულია კოსმოპოლიტიზმის სულით. შესაძლოა ეს სიტყვები რამდენადმე მკვეთრია, სამაგიეროდ ზუსტად გამოხატავს კონსტანტინოპოლის დღევანდელ საეკლესიო ამბიციებს. დაისპორის საკითხი, მაშინაც კი, თუკი იგი იარსებებდა როგორც პრობლემა, სრულებითაც არ მოითხოვს მის განხილვას უმაღლეს საეკლესიო დონეზე. ბევრი საკითხი, თუნდაც კანონიკური რიგისა, სავსებით შეიძლება განიხილებოდეს ეკლესიათა წარმომადგენლებს შორის მიმოწერის დონეზე, რომელთა პოზიციები საგანგებოდ იქნებოდა მომზადებული კანონიკური სამართლისა და სარწმუნოების საკითხთა სპეციალური კომისიის მიერ ყოველ ავტოკეფალურ ეკლესიაში.

ჩვენს წერილს ვასრულებთ ღირსი იუსტინეს (პოპოვიჩი) სიტყვებით: „ჩემი სინდისი მაიძულებს ისევ მიემართო ვედრებით სერბეთის მოწამებრივი ეკლესიის წმიდა სინოდს: დაე, ჩვენმა ეკლესიამ თავი შეიკავოს ე.წ. სრულიად მართლმადიდებელთა კრების მომზადების საქმეში და თავად მასში მონაწილეობისგან. რადგან, თუკი, ღმერთმა ნუ ქნას, ასეთი კრება ჩატარდება, მისგან მხოლოდ ერთს უნდა მოველოდეთ: განხეთქილებებს, მწვალებლობებსა და მრავალი სულის დაღუპვას. და ეკლესიის ისტორიული სამოციქული-წმიდამამობრივი გამოცდილებიდან გამომდინარე, ასეთი კრება კურნების ნაცვლად ახალ ჭრილობებს გააჩენს ეკლესიის სხეულზე და შექმნის მისთვის ახალ პრობლემებსა და გაჭირვებებს“. ჩვენის მხივ დავამატებთ, რომ ასეთი კრების გადაწყვეტილებებს არ მიიღებს ეკლესიის სისავსე, მოხდება დაპირისპირება დამყოლ იერარქიასთან, შეიქმნება დაპირისპირებული დაჯგუფებები.

#### დამატება1

### კომენტარები დაგეგმილი მსოფლიო კრების საკითხთა წრესთან და თავად კრების ჩატარებასთან დაკავშირებით

მსოფლიო მართმადიდებლობა შეშფოთებით ადევნებს თვალს მართლმადიდებელთა „მსოფლიო კრებისათვის“ მზადებას. განგაშის წერილები იწერება მრავალ ადგილობრივ ეკლესიაში (იხ. დანართები1-4), რასაც ჩვენც ვუერთებთ ჩვენს ხმას. თუ რა იწვევს ჩვენს შეშფოთებას, ამის შესახებ მოგახსენებთ ჩვენს წერილში.

მსოფლიო კრების მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარემ, პერგამის მიტროპოლიტმა იოანემ მსოფლიო კრების გამართვის „აუცილებლობის“ შემდეგი მიზეზები დაასახელა<sup>1</sup>:

- კრების მოწვევა მართლმადიდებელი ეკლესიის კრებისითობის პრინციპიდან გამომდინარე;
- ღმრთის ხალხის მოთხოვნა;
- არამართლმადიდებელთა მხრიდან მართლმადიდებელი ეკლესიის გაკიცხვა იმასთან დაკავშირებით, რომ იგი უუნაროა მოიწვიოს სრულიად მართლმადიდებელთა კრება მსოფლიო კრების სახით;
- რიგი შიდასაეკლესიო საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობა.

ყველა ამ დასახელებულ მოტივს, სინამდვილეში, არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნია. პირველი, მეორე და მესამე აშკარად გამოგონილი და ხელოვნური ხასიათისაა. მეტიც, იმის მტკიცება, რომ მსოფლიო კრებას ღმრთის ხალხი სულმოუთქმელად ელის, აშკარა ტყუილია, რადგან სწორედ ერისა და კლიროსის მიერაა მტკიცედ გაცნობიერებული, რომ კრება განდგომილებისა იქნება. ეს მოსაზრება რომ არც თუ უსაფუძვლოა, დავრწმუნდებით, თუ განვიხილავთ საკითხთა იმ წრეს, რომელიც განხილული იქნება მსოფლიო კრებაზე და რომელთა შესახებ პატრიარქმა ბართლომემ ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიებისთვის გაგზავნილ წერილში გვაცნობა:

1. მართლმადიდებლური დიასპორა. მართლმადიდებლური გაერთიანებების იურისდიქციის განსაზღვრა ეროვნულ საზღვრებს გარეთ. **„დღეს არსებული კანონებით – გვიხსნის პატრიარქი ბართლომე – თავის სამშობლოს გარეთ მყოფი მორწმუნეები ეკუთვნოდნენ მსოფლიო პატრიარქის იურისდიქციას“;**
2. საეკლესიო ავტოკეფალიის სტატუსის ცნობის პოცედურა;
3. საეკლესიო ავტონომიის სტატუსის ცნობის პოცედურა;
4. დიპტიხი. მართლმადიდებლური ეკლესიების კანონიკური ურთიერთცნობის წესები;
5. დღესასწაულების საერთო კალენდრის დადგენა;
6. წესები და წინააღმდეგობები ქორწინების საიდუმლოს შესრულებისათვის;
7. მარხვის საკითხი თანამედროვე მსოფლიოში;
8. სხვა ქრისტიანულ კონფესიებთან კავშირის საკითხები;
9. ეკუმენისტური მოძრაობა;
10. მართლმადიდებლობის წვლილი ქრისტიანული იდეალების – მშვიდობის, ძმობისა და თავისუფლების – განმტკიცების საქმეში.

ის, თუ რა იგულისხმება ამ საკითხებში, უკვე ცნობილი გახდა (მაგალითად, ერთიანი კალენდრისა და ახალი პასქალიის შემოღება, კლირიკოსებისათვის განმეორებითი ქორწინების ნებართვის დადგენა და სხვა).

„მსოფლიო კრების“ მოსამზადებელ თათბირებში მონაწილეობა უნდა შეფასდეს ეკლესიის კანონებისა და ეკლესიის სისავსის იგნორირებად. ამის საფუძველს გვაძლევს ეკლესიის წმიდა გადმოცემა, კანონები და ტრადიციები:

1. განსახილველი „კრება“ არ იქნება მსოფლიო კრება, რადგან მსოფლიო კრების ბუნება და მისი მოწვევის კანონიკური წინაპირობები განსხვავებულია და შეეხება მხოლოდ უმნიშველოვანეს, - დოგმატურ და ეკლესიის მოწყობის საკითხებს. ეს საკითხები უკვე განხილულია წინა მსოფლიო კრებების მიერ, დადგენილია ეკლესიის მოწყობის საკითხი, ჩამოყალიბებულია სარწმუნოების დოგმატური საფუძველები, ანათემირებულია წვალებანი.
2. ყველა მსოფლიო კრება, აღარაფერს ვამბობთ ადგილობრივ კრებებზე<sup>2)</sup>, ყოველთვის უნდა მოქმედებდეს წინამორბედი კრებების მემკვიდრეობითობის ჩარჩოებში (იხ. დანართი). ეს ძალიან კარგად ჩანს თავად ოროსებიდან. ხალკიდონის კრების ძეგლისწერა ასე იწყება: „წმიდათა მამათა მიერ თითოეულსა კრებასა შინა ვიდრე აქამომდე დასსხმულთა კანონთა მტკიცედ პყრობად განვაჩინეთ“. კონსტანტინოპოლის კრების ძეგლისწერის დასაწყისში წერია: „შემოკლებული საზღვარნი დავსხენით, სარწმუნოებად ნიკეას შეკრებილ მამათად დავამტკიცეთ და წინააღმდეგომნი მისნი წვალებანი შევაჩუნეთ. ამათ გარდა კეთილად წესიერებისათვისცა ეკლესიათადასა სიტყვით კანონნი განვსაზღვრენით, რომელნიცა აქა წიგნსა ამას ჩუენსა შეუდგინეთ“. ჩატარებულ მსოფლიო კრებათა დადგენილებების შეცვლა იკრძალება და ისჯება: „დაე, ნურავინ იქნება ნებადართული ზემოაღნიშნულ კანონთა შეცვლა, ანდა გაუქმება“. . . ხოლო თუ ვინმეს ემხილოს, რომ ზემოთქმულ კანონთაგან რომელიმეს შეცვლა, ან გარდაქმნა დააპირა, ასეთი ვალდებულია მის მიერ ხელყოფილი კანონით განსაზღვრული ეპიტემია იტვირთოს“<sup>41)</sup>.

3. ხსენებული მემკვიდრეობითობა და დადგენილებათა უცვალელოება განაპირობებს საეკლესიო კრებაზე სულიწმიდის შემოქმედებითად მყოფობას და კრებას „ღმრთის თანამოქმედად“ აქცევს. კრებებზე ადამიანები ამოწმებენ იმას, „რასაც იტყვის სული ეკლესიათა“ (გამოცხ. 2,7.), ანუ ღმრთის ნებას. „უნდა გეწამდეს, რომ ყოველივე, რაც წმ. მამებმა დაადგინეს ყველა მსოფლიო და ადგილობრივ კრებაზე<sup>2)</sup>, წარმომდინარეობს სულიწმიდისაგან, ვითარცა მოციქულებმაც თავიანთ კრებაზე თქვეს: „ჯერ-უნდა სულსა წმიდასა და ჩუენცა (საქმე 15:28). მათი მაგალითით შემდგომმა მართლმადიდებელმა კრებებმაც მსგავსი დასკვნით თავიანთი დადგენილებები დაამტკიცეს“<sup>3)</sup>. თუ ეპისკოპოსები, რომლებიც შედაგენენ კრებას, არ თანამოქმედებენ სიმდაბლით ღმერთთან, რათა მათი ბაგეებით აუწყოს წმიდა სულმა, ცვლიან წინა კრებების დადგენილებებს, მაშინ ასეთი კრებები არ აუწყებენ ჭეშმარიტებას, და ეკლესია შემდგომში არ მიიჩნევს მათ „ეკლესიის უცოდველ ბაგეებად“ და „სულიწმიდის საყვირებად“ და, მეტიც, ასეთ კრებებს „აგაზაკთა“ კრებებს უწოდებს. ასეთ კრებებზე არ არის ღმერთისა და კაცის სინერგია და ამიტომ არ არის ჭეშმარიტება. მხოლოდ მაშინ, როდესაც კრების გადაწყვეტილება „სათნოა ღმრთისთვის“, სათნო იქმნება „კაცთათვის“.
4. კრება უნდა იყოს მართლმადიდებლური. ეკლესიითვის აუცილებელია ის თვალსაზრისი, რომ ეკლესიის მამათა რწმენა კრებების დადგენილებების უმცდარობის შესახებ ვრცელდება არა მარტო უკვე ჩატარებულ კრებებზე, არამედ იმ კრებებზეც, რომელთა ჩატარებაზეც შეიძლება იყოს საუბარი. რების მართლმადიდებლურობა აუცილებლად უკავშირდება ისიეთ პრინციპულ დებულებებს, როგორცაა:
  - კანონიკური ერგულება ეკლესიის მოწყობისადმი, რომელიც დაფიქსირებულია წმინდა კანონებში;
  - უსიტყვო მიდევნება მსოფლიო და ადგილობრივი კრებების დადგენილებებისა, რომლებზეც აგებულია მართლმადიდებელი სარწმუნოების სწავლება;
  - უკანასკნელი ასევე გულისხმობს წმიდა გადმოცემებისადმი მკაცრ მიდევნებას.
5. მხოლოდ გარეგნული მხარე, ანუ მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპატის მოწვევა კრებაზე იმ რიცხოვნობით, როგორც ეს მსოფლიო კრებებზე ხდებოდა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ეს კრება თავისი არსით მსოფლიოა და მისი გადაწყვეტილებები სავალდებულო ხასიათისაა. ასეთ კრებაზე თვით ყველა ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა დასწრება ჯერ კიდევ არ იძლევა იმის მტკიცებას, რომ შემდგარი კრება მსოფლიოა. მსოფლიოობისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეფასდეს კრებაზე წარმოდგენილი საკითხები და დადგინდეს მიღებული გადაწყვეტილებების ჭეშმარიტებასთან შესაბამისობის ხარისხი.

თუ გადავხედავთ იმ საკითხებს, რომლებიც განხილულ უნდა იქნენ ზემოთხსენებულ მსოფლიო კრებაზე – ყველა ისინი თავისი არსით ან შეეხებიან სარწმუნოებას (კონფესიათა და რელიგიათა შორის დიალოგი, ერთობლივი ღოცვები), ან ეკლესიის კანონებს (პასქალიისა და კალენდრის, სასულიერო პირების მეორედ ქორწინების, მარხვების შემცირებისა და შესუსტების, დიასპორისა და ა.შ. შესახებ საკითხები). და წინასაკრებო კომისია, ფაქტობრივად, მიზნად ისახავს მსოფლიო კრებებზე მიღებული და დამტკიცებული კანონიკური კანონების გადახედვას. უკვე ამიტომ არ შეგვიძლია ვუწოდოთ მოსალოდნელ მსოფლიო კრებას მართლმადიდებლური. თავისი მიზნებითა და სულით ის უცილობლად იქნება რეფორმატორული სულის მატარებელი. ამიტომ საკრებო ფრაზა „ჯერ-უნდა წმიდასა სულსა და ჩუენცა“ იქნება მხოლოდ ყალბი საფარველი უკანონო ქმედებებისათვის. უეჭველია, რომ ასეთი კრების გადაწყვეტილებები უარყოფილი იქნება ეკლესიის სისავსის მიერ.

მოკლედ მოვიყვანოთ ეკლესიის სწავლების, კრებათა კანონების ჩამონათვალი, რომლებიც დაკავშირებულია განსახილველად წარმოდგენილ საკითხებთან და რომელთა ჩვლილებიც იგეგმება, რაც გამომდინარეობს წინასწარი განხილვებისა და სხვა ინფორმაციის საფუძველზე.

ღიასპორის საკითხს ქვემოთ შევხებით, ხოლო 2-4 საკითხები ნაკლებად მნიშვნელოვანია. რაც შეეხება სხვა საკითხებს:

5. დღესასწაულების საერთო კალენდრის დადგენა.

ეკლესიის სწავლების, 1583 წლის კრების, მსოფლიო პატრიარქ კირილე V-ის 1756წ. მრგვლივ მოსავლელი ეპისტოლეს, ასევე მსოფლიო პატრიარქ ანთიმოზ VI-ისა და სხვა აღმოსავლელი პატრიარქების (მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქების) 1848წ. მრგვლივმოსავლელი ეპისტოლეს საფუძველზე ვთვლით, რომ დაუშვებელია პასქალიისა და თვეების შეცვლა ერეტიკოსების საამებლად.

6. წესები და წინააღმდეგობები ქორწინების საიდუმლოს შესრულებისათვის.

ქრისტეს ეკლესია კრძალავს შერეულ ქორწინებებს მართლმადიდებლებსა და არამართლმადიდებლებს შორის, რადგან ასეთ კავშირს არა აქვს მთავარი თვისება, – სულიერი ერთობისა ქრისტეში. ამით კი იგი უზღუდებელია ქორწინების საიდუმლოს, რომელიც საერთო რწმენას გულისხმობს. ამ საკითხისათვის მთავარი სახელმძღვანელო დებულებებია ტრულის კრების 72-ე კანონი, ლაოდიკიის კრების მე-10 კანონი. ქორწინებისა და ჯვრისწერის ჩატარების, განქორწინებისა და ჯვრის აყრის და ქორწინების ჩატარებისათვის ხელშემშლელი ფაქტორების საკითხები დადგენილია მართლმადიდებელი ეკლესიის კანონებით და ჩვენ, მართლმადიდებლები, განუხრელად უნდა მივდევდეთ და არ უნდა ვცვლიდეთ მათ.

7. მარხვის საკითხი თანამედროვე მსოფლიოში.

ეკლესიის წმიდა გადმოცემა ადასტურებს, რომ მარხვის დაცვა აუცილებელია და რომ ეს არა რის ადამიანის გამოგონება, არამედ დადგენილია საეკლესიო კრებების მიერ სულიწმიდის თანაქმედებით. მარხვას ახალი აღთქმის ეკლესიაში თავად მაცხოვარმა, იესო ქრისტემ დაუდო საფუძველი, იმარხულა რა 40 დღე უდაბნოში, რითაც მოგვცა როგორც მარხვის მაგალითი, ასევე მარხვის საზომი. სახარებაში კი მაცხოვარი მცნებად გვიდებს: „ხოლო ნათესავი ესე არარაით განვაღს, გარნა ლოცვითა და მარხვითა“ (მათე, 17, 21). მარხვის შემსუბუქება, შემცირება ან გაუქმება იქნება ეკლესიის სწავლების საწინააღმდეგო ქმედება.

8. სხვა ქრისტიანულ კონფესიებთან კავშირის საკითხები.

წმ. მოციქულთა კანონები (10, 45, 64, 65), ლაოდიკიის კრების 33-ე კანონი, მეექვსე მსოფლიო კრების მე-2 კანონი, ასევე წმიდა მამათა სწავლებები მიუღებლად მიიჩნევენ, რომ მართლმადიდებლებმა იქონიონ მწვალებლებთან და სქიზმატებთან ლოცვითი, ან სხვა სარწმუნოებრივ კავშირი, ხოლო დამრღვევთათვის აწესებენ სასჯელს, ეკლესიიდან განკვეთის ჩათვლით.

9. ეკუმენისტური მოძრაობა;

ეკუმენიზმი დაგმობილია თანამედროვე ეკლესიის მამების (ნიკოლოზ სერბი, იუსტინე პოპოვიჩი, სერაფიმე როუზი, პაისი ათონელი და სხვ.) მიერ, რომლებიც ეკუმენიზმს მწვალებლობათა მწვალებლობას უწოდებენ. ამიტომ ეკუმენიზმის მიმართ ვრცელდება ყველა ის კანონი და სასჯელი, რომელიც წინა პუნქტში მოვიყვანეთ. ამას გარდა, რიგი ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიებისა მკაფიოდ გამოხატავენ თავიანთ პოზიციას ეკუმენიზმთან (მაგ. რუსეთის, 1948წ). ეკუმენისტურ მსოფლიო ეკლესიათა საბჭოსთან (საქართველოს, ბულგარეთის ეკლესიები, ასევე ამერიკაში ანტიოქიის იურისდიქციაში მყოფი საკრებულო) დაკავშირებით. თვით ის ადგილობრივი ეკლესიები, რომლებიც ჯერ კიდევ მონაწილეობენ ეკუმენისტურ დიალოგებში, დაუფარავად გამოხატავენ ამ დიალოგების უპერსპექტივობას ჭეშმარიტების დამოწმების თვალსაზრისით.

10. მართლმადიდებლობის წვლილი ქრისტიანული იდეალების – მშვიდობის, ძმობისა და თავისუფლების – განმტკიცების საქმეში.

ეს საკითხიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს წმიდა წერილს, წმიდა გადმოცემას და ეკლესიის სწავლებას. მართლმადიდებლობას მოაქვს ჭეშმარიტების სინათლე სხვა ხალხებისათვის და არ უნდა ექვემდებარებოდეს ამ სოფლის ადამიანთა მსოფლმხედველობას, არ უნდა მიდიოდეს კომპრომისზე ერეტიკოსებთან. ჩვენ ვემხრობით აზრს, რომ მართლმადიდებელი მოძღვრები უნდა ამხელდნენ თანამედროვე მსოფლიოს ცოდვებს და, სახარებაში ხსენებული „შიშისათვის ჰურიათაჲსა“ (იოანე, 20,19) არ უნდა მიდიოდნენ სინდისთან გარიგებაზე.

რაც სეეხება დაისპორის საკითხს, რომელსაც მსოფლიო საპატრიარქო განიხილავს როგორც „ახალ მოვლენას მართლმადიდებელი ეკლესიისათვის“, ასევე გამოვინიშნავთ პრობლემას. და მისწრაფება, გადაწყვიტოს ხელოვნურად შექმნილი ეს პრობლემა, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მსოფლიო საპატრიარქო დაავადებულია კოსმოპოლიტიზმის სულით. შესაძლოა ეს სიტყვები რამდენადმე მკვეთრია, სამაგიეროდ ზუსტად გამოხატავს კონსტანტინოპოლის დღევანდელ საეკლესიო ამბიციებს. დიასპორის საკითხი, მაშინაც კი, თუკი იგი იარსებებდა როგორც პრობლემა, სრულებითაც არ მოითხოვს მის განხილვას უმაღლეს საეკლესიო დონეზე. ბევრი საკითხი, თუნდაც კანონიკური რიგისა, სავსებით შეიძლება განიხილებოდეს ეკლესიათა წარმომადგენლებს შორის მიმოწერის დონეზე, რომელთა პოზიციები საგანგებოდ იქნებოდა მომზადებული კანონიკური სამართლისა და სარწმუნოების საკითხთა სპეციალური კომისიის მიერ ყოველ ავტოკეფალურ ეკლესიაში.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლეს იერარქთა შეფასებით<sup>4</sup>: „მართლმადიდებელ ეკლესიას უნდათ რომ თავს მოახვიონ ის მოდელი, რომელიც არსებობს კათოლიკურ ეკლესიაში – ეს არის მაქსიმალურად ცენტრალიზებული საეკლესიო ძალაუფლების მოდელი, რომლის თავში ერთი ეპისკოპოსია და რომელიც არის მსოფლიო ეკლესიის თავი. ამ მოდელით კონსტანტინოპოლის პატრიარქმა უნდა მართოს ე.წ. დიასპორის ყველა ეკლესია. ანუ გაერთიანებები, რომლებიც არ იმყოფებიან ისტორიული, კანონიკური, ეროვნული ეკლესიის საზღვრებში, უნდა შევიდნენ მსოფლიო საპატრიარქოს იურისდიქციაში. მართლმადიდებლურ ტრადიციაში არასდროს არ არსებობდა ასეთი მოდელი. ჩვენ არა გვაქვს უფლება, შევცვალოთ ჩვენი სწავლება ეკლესიის შესახებ“.

1961 წლის შემდეგ ჩატარებული მართლმადიდებელთა თათბირების ანალიზი ცხადყოფს მათ სრულიად არამართლმადიდებლურ ხასიათს, რადგან მათზე მიღებული გადაწყვეტილებები „არსობრივად მიიღება ეკლესიის სისავსის იგნორირებითა და ღირსეული და სარწმუნოების ხელუხლებლობის მიმართ სიფრთხილის გამოჩენასთან დაკავშირებით“ პატივცემული პირების რეკომენდაციების გათვალისწინების გარეშე<sup>4</sup>)

მკვარად, თუ გადავხედავთ განსახილველად შემოთავაზებულ საკითხებსა და შევაფასებთ მათი განხილვის ხერხებსა და პრინციპებს, მივხვდეთ, თუ როგორი საფრთხის ქვეშ ვაყენებთ ჩვენ ჩვენს ეკლესიას, თუკი მონაწილეობას მივიღებთ მსოფლიო კრების მომზადებასა და ჩატარებაში. ასეთი კრება აუცილებლად მიგვიყვანს განხეთქილებათა და არა ეკლესიის ერთობისათან. კალინდრის ტრაგიკული, თვითნებური რეფორმის გატარების შედეგად თავისი სამწყსოს დაკარგვის სამწუხარო მაგალითს თავად კონსტანტინოპოლის ეკლესია იძლევა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, მისი წინამძღოლების რეფორმატორული განწყობილება, სავსებით გვაძლევს უფლებას უარყოთ პატრიარქ ბართლომეს თეზისი მსოფლიო საპატრიარქოს, როგორც „მართლმადიდებელი ეკლესიის საკოოპდინაციო ცენტრის“ შესახებ. 1923 წლიდან მსოფლიო საპატრიარქო ხდება მართლმადიდებლობის რღვევისა და განადგურების ცენტრი. ამიტომ თავად იდეა სრულიად მართლმადიდებელთა კრების მოწვევის შესახებ წარმოადგენს არა მსოფლიო მართლმადიდებლობის ერთობის განმტკიცებისაკენ

სწრაფვას, არამედ გვევლინება მთავარ ნაბიჯად მართლმადიდებელი ეკლესიის ნგრევის გეგმის განხორციელების გზაზე. თუ მსოფლიო კრება შედგა, ჭკვი არ არის, რომ მსოფლიო პატრიარქ ბართლომეს მიერ შემოთავაზებული საკითხები განხილულ იქნება სეკლესიო ცხოვრების სეკულარიზაციისა და ლიბერალიზაციის სიბრტყეში, და, შესაბამისად, მართლმადიდებელი ეკლესიის კონიკური წყობის დანგრევის მიმართულებით.

ჩვენი წერილის დასარულებლად თანადროულად მივიჩნიეთ ღირსი იუსტინეს (პოპოვიჩი) სიტყვების შესენება: „ჩემი სინდისი მაიძულებს ისევ მივმართო ვედრებით სერბეთის მოწამებრივი ეკლესიის წმიდა სინოდს: დაე, სერბეთის ეკლესიამ თავი შეიკავოს ე.წ. სრულიად მართლმადიდებელთა კრების მომზადების საქმეში და თავად მასში მონაწილეობისგან. რადგან, თუკი, ღმერთმა ნუ ქნას, ასეთი კრება ჩატარდება, მისგან მხოლოდ ერთს უნდა მოველოდეთ: განხეთქილებებს, მწვალებლობებსა და მრავალი სულის დაღუპვას. და ეკლესიის ისტორიული სამოციქულო-წმიდამამობრივი გამოცდილებიდან გამომდინარე, ასეთი კრება კურნების ნაცვლად ახალ ჭრილობებს გააჩენს ეკლესიის სხეულზე და შექმნის მისთვის ახალ პრობლემებსა და გაჭირვებებს“

### შენიშვნები. მითითებული პუბლიკაციები

1. მე-6 წმ. მსოფლიო კრება, კანონი 2 (იხ. Правила Православной Церкви с толкованиями Никодима, Еп. Далматинско-Истрийского; стр. 435; СПб, 1911 г)
2. ადგილობრივი საეკლესიო კრების საკითხთა წრისა და მოქმედების ხასიათის შესახებ გამოჩენილი და ავტორიტეტული კანონისტი ეპისკოპოსი მილაში (ნიკოდიმოსი) წერეს: „ადგილობრივი კრებების კანონშემოქმედებითი მოღვაწეობის მიმართ კანონები მიუთითებენ, ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ამ კრებათა კანონები არა მხოლოდ არ უნდა არღვევდნენ საეკლესიო მოწყობის მსოფლიო საფუძვლებს და არ ეწინააღმდეგებოდნენ ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტ სულს, სიწმიდეს, ზნეობრივ სისუფთავესა და ეირარქიულ უფლებებს, არამედ ეხებოდნენ მხოლოდ კანონების კერძო მხარეებს. . . ამიტომ ადგილობრივი კრებების კანონმდებლობას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია ეხებოდეს შიდა საეკლესიო მოწყობის, დოგმატურ, საღვთისმსახურებო და საზოგადო სულიერ-ზნეობრივ საკითხებს. ადგილობრივმა ეკლესიებმა თავიანთ ადგილობრივ კრებებზე ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ მათ მიერ გამოცემული კანონები გამომდინარეობდნენ უშუალოდ საზოგადო კანონიკური დადგენილებებიდან და არ იყვნენ გამოწვეულნი ვნებებით, უცოდინარობით ან რაიმე გარეგანი არასაეკლესიო გავლენით“ (Никодим, епископ Далматинский. Православное церковное право. СПб 1897, с. 454)
3. აღმოსავლეთის პატრიარქების მიერ დამტკიცებული „მართლმადიდებლური აღსარება აღმოსავლეთის საყოველთაო და სამოციქულო ეკლესიისა (იხ. Православное исповедание кафолической и Апостольской Церкви Восточной; ч. 1, отв. 72; ციტ. Правила Православной Церкви... стр. 20)
4. Πρωτοπρ. Φεῶδορος Ζήση/Ομολογία πίστεως. Ἡψρανε τοὺς Ὀρθόδοξους καὶ κατήχυνε τοὺς κακοδόξους./ Ὀρθόδοξος Τύπος, 7 Αυγούστου, σελ.5η

დანართი1

## Γιατί

# δὲν ἔχει ἀνάγκη ἡ Ὀρθόδοξη Ἐκκλησία σήμερα στὴ Μεγάλη Πανορθόδοξη Σύνοδο

რატომ არ საჭიროებს მართლმადიდებელი ეკლესია სრულიად მართლმადიდებელთა კრების ჩატარებას



ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენელთა სრულიად მართლმადიდებელთა თათბირის (შემდეგში-სათათბირო) გადაწყვეტილების ერთი-ერთი პუნქტი (კონსტანტინოპოლი, 2008წ.) მიიჩნევს სრულიად მართლმადიდებელთა კრების (მსოფლიო კრების) სასწრაფოდ მომზადების აუცილებლობას. თავის ოფიციალურ სიტყვაში, რომელიც მსოფლიო კრების მოსამზადებელი თათბირის (უენევა, 2009წ.) გახსნაზე წარმოთქვა მსოფლიო კრების მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარემ, პერგამის მიტროპოლიტმა იოანემ (ზიზიულასი), მომხსენებელმა ასეთი კრების გამართვის „აუცილებლობის“ შემდეგი მიზეზები დაასახელა<sup>1</sup>:

- კრების მოწვევა მართლმადიდებელი ეკლესიის კრებისთვის პრინციპიდან გამომდინარე;
- ღმრთის ხალხის მოთხოვნა;
- არამართლმადიდებელთა მხრიდან მართლმადიდებელი ეკლესიის გაკიცხვა იმასთან დაკავშირებით, რომ იგი უუნაროა მოიწვიოს სრულიად მართლმადიდებელთა კრება მსოფლიო კრების სახით
- რიგი შიდასაეკლესიო საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობა

ამ მიზეზების ჩამოთვლის შემდეგ მიტროპოლიტო იოანე აკეთებს შემდეგ დასკვნას: „**მართლმადიდებელი ეკლესიის გამოცხადებული წმიდა და ღიმი კრების ჩატარება არ ითმენს და მისი შეფერხება ჩვენს ეკლესიის ავტორიტეტსა და სიმტკიცეს დააჩნევს ღრმა ტრამვას**“<sup>2</sup>).


მაგრამ ყველა დასახელებულ მოტივს, სინამდვილეში, არავითარი რეალური საფუძველი არა აქვს. პირველი, მეორე და მესამე მიზეზები აშკარად გამოგონილი და ხელოვნური ხასიათისაა. მეტიც, იმის მტკიცება, რომ მსოფლიო კრებას ღმრთის ხალხი სულმოუთქმელად ელის, აშკარად ტყუილია, რადგან სწორედ ერისა და კლიროსის მიერ საკმაოდ მტკიცეაა გაცნობიერებული მოსაზრება, რომ მოსამზადებელი კრება განდგომილების კრება იქნება. ასეთი მოსაზრება კი არც თუ უსაფუძველოა, თუკი გავითვალისწინებთ ინფორმაციას საკითხთა იმ წრის შესახებ, რომელიც განხილულ უდა იქნას მსოფლიო კრებაზე და რომელთა შესახებ პატრიარქმა ბართლომე გვაცნობა მარტის თვეში მის მიერ ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიებისთვის გაგზავნილ წერილში:

1. მართლმადიდებლური დიასპორა. მართლმადიდებლური გაერთიანებების იურისდიქციის განსაზღვრა ეროვნულ საზღვრებს გარეთ. „**დღეს არსებული კანონებით – გვიხსნის პატრიარქი ბართლომე – თავის სამშობლოს გარეთ მყოფი მორწმუნეები ეკუთვნოდნენ მსოფლიო პატრიარქის იურისდიქციას**“;
2. საეკლესიო ავტოკეფალიის სტატუსის ცნობის პოცედურა;



3. საეკლესიო ავტონომიის სტატუსის ცნობის პოცედურა;
4. დიპტიხი. მართლმადიდებლური ეკლესიების კანონიკური ურთიერთცნობის წესები;
5. დღესასწაულების საერთო კალენდრის დადგენა;
6. წესები და წინააღმდეგობები ქორწინების საიდუმლოს შესრულებისათვის;
7. მარხვის საკითხი თანამედროვე მსოფლიოში;
8. სხვა ქრისტიანულ კონფესიებთან კავშირის საკითხები;
9. ეკუმენისტური მოძრაობა;
10. მართლმადიდებლობის წვლილი ქრისტიანული იდეალების – მშვიდობის, ძმობისა და თავისუფლების – განმტკიცების საქმეში.

ცნობებმა ამ საკითხების შესახებ გამოიყონა საეკლესიო და საერო პრესაში. მაგალითად, ისეთი საკითხები, როგორცაა ერთიანი კალენდრისა და ახალი პასქალიის შემოღება, კლირიკოსებისათვის განმეორებითი ქორწინების ნებართვის დადგენა და სხვა, სხვა არაფერია, თუ არა შიდასაეკლესიო განხეთქილების პროვოცირება. ამას გარდა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ თანამედროვე იერარქიის არა მარტო ეკუმენისტური ენთუზიაზმი, არამედ კანონიკური სამართლის უცოდინარობა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მისი შეგნებული იგნორირება, ქმნის იერარქიის ცნობიერებაში შესანიშნავ ნიადაგს მსოფლიო კრების აუცილებლობის თავსმოხვეული იდეისათვის. ამიტომ წინამდებარე მოკლე წერილში ჩვენ გვინდოდა შეგვეხსენებინა იერარქებისათვის, კლიროსისა და საერო პირებისათვის იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენენ მსოფლიო კრებები, როგორია მათი ბუნება და როგორია მათი მოწვევის კანონიკური წინაპირობები. ამიტომ ჩვენ ჩვენს მსჯელობას ავაგებთ მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიისა და საეკლესიო ისტორიის კანონიკური სამართლის ავტორიტეტულ წყაროებზე დაყრდნობით.



### მსოფლიო კრების მოწვევა – ეკლესიის ცხოვრებაში განსაკუთრებული მოვლენაა

ადრექრისტიანულ პერიოდში ყოველი თემი თავის პრობლემებსა და საკითხებს დამოუკიდებლად წყვეტდა, შემდგომ უკავშირდებოდნენ რა სხვა ადგილობრივ ეკლესიებს წერილობით. იმ პერიოდში ადგილობრივი ეკლესიების უფრო მეტად შეკავშირება ხდებოდა მსხვილი განხეთქილებების წარმოშობისას, ისეთებისა, როგორცაა: მონტანისტები, ნოვაციანები და დონატისტები. წყაროებიდან ჩანს, რომ I საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული კრებების მუშაობა საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა. სარწმუნოებრივ სწავლებაში განსხვავებულობებისა და კამათების რაოდენობრივი ზრდა აუცილებლად იწვევდა კრებათა რაოდენობის ზრდას. და ეკლესია, იწვევდა რა სხვადასხვა კრებებს, ამით გამოხატავდა თავის კრებისთვის ხასიათს. მწვალებლობათა გაჩენის კვალობაზე ეკლესიას უნდა განესაზღვრა თავისი დამოკიდებულება მათ მიმართ, და ერეტიკული სწავლებების დაგმობასთან ერთად უნდა შეეშუშავებინა ჭეშმარიტი სწავლება. ამის გაკეთება ეკლესიას, კრებისთვის ხასიათიდან გამომდინარე, შეეძლო მხოლოდ კრებისათვის, ანუ კრებებზე. III ასწლეულში, წმ. მოწ. კიპრიანე კართაგენელის დროს, დიოცეზიალური კრების წელიწადში ორჯერ მოწვევის ტრადიცია მკვიდრდება. ეს კრებები, ძირითადად, განიხილავდა დიოცეზთან დაკავშირებულ საკითხებს.

მსოფლიო კრებები, რომლებიც პრინციპულად განსხვავებული ხასიათს ატარებდნენ, ვიდრე ადგილობრივი – დიოცეზიალური, იკრიბება და ტარდება უკვე IV საუკუნიდან. ამის მიზეზი ქრისტიანობის განსახელმწიფოებრიობა არ იყო, არამედ – ის განსაკუთრებული მიზეზები, რომლებმაც წარმოშვეს სერიოზული დოგმატური კამათები,

რომლებიც, ფაქტობრივად, მთელ ეკლესიას მოიცავდა. ამგვარი კრებები, რომლებსაც ჰქონდად ნამდვილად მსოფლიო ხასიათი, შესაძლებელი იყო მხოლოდ იმპერატორ კონსტანტინეს პერიოდში და მის შემდეგ. საერო ხელისუფლება იმპერატორის სახით ხელს უწყობდა ამგვარი კრებების მოწვევას. და თავად მათი ისტორია გვეუბნება იმის შესახებ, რომ იმპერატორები, წმ. იმპერატორ კონსტანტინესაგან დაწყებული, მსოფლიო კრებებს უყურებდნენ როგორც ეკლესიაში და იმპერიაში მშვიდობის განმტკიცების საშუალებას, რადგან საეკლესიო დაჯგუფებებს შორის დოგმატურ საკითხებთან დაკავშირებული დაპირისპირებები ხშირად გადადიოდა მოქალაქეებს შორის სერიოზულ დაპირისპირებაში. კრებების შედგენის სირთულედან გამომდინარე, მათი მოწვევა ხდებოდა მხოლოდ უმნიშვნელოვანეს, სახელდობრ, დოგმატურ საკითხებთან დაკავშირებით. ეპისკოპოს ნიკოიმოსის (მილაში) თქმით, მსოფლიო კრებები „არ წარმოადგენდნენ მუდმივ საეკლესიო დაწესებულებას, როგორც, მაგალითად, სამიტროპოლიტო კრებები, არამედ ისტორიულად წარმოადგენდნენ განსაკუთრებულ დაწესებულებებს, რომელთა მნიშვნელობა წვდებოდა არა მხოლოდ მთელ ეკლესიას, არამედ მთელ სახელმწიფოსაც“<sup>(3)</sup>.



სახე წმიდა ეკლესიისა, რომელსაც თავს ესხმიან ერეტიკოსები: რომის პაპი, პროტესტანტები, არიოზი და სხვები

### წმიდა გადმოცემებისადმი ერთგულება – აუცილებელი საფუძველია მართლმადიდებელი ეკლესიის მტკიცე ერთობისა და კრებისითობის შენარჩუნებისათვის

მაგრამ მხოლოდ გარეგნული მხარე, ანუ მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპატის მოწვევა კრებაზე იმ რიცხოვნობით, როგორც ეს მსოფლიო კრებებზე ხდებოდა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ეს კრება თავისი არსით მსოფლიოა და მისი გადაწყვეტილებები სავალდებულო ხასიათისაა. ასეთ კრებაზე თვით ყველა ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა დასწრება ჯერ კიდევ არ იძლევა იმის გარანტიას, რომ შემდგარი კრება მსოფლიოა. მსოფლიოობისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეფასდეს კრებაზე წარმოდგენილი საკითხები და დადგინდეს მიღებული გადაწყვეტილებების ჭეშმარიტებასთან შესაბამისობის ხარისხი. მსოფლიო კრებისათვის არ არის აუცილებელი, რომ იგი პაპმა მოიწვიოს, არც მისი დასწრებაა აუცილებელი, არც ყველა ეკლესიის წარმომადგენელთა დასწრებაა აუცილებელი, არც ყველა ადგილობრივი კრების მიერ მისი მსოფლიო ხარისხში დაუყოვნებლივი აღიარებაა აუცილებელი.

ყველა მსოფლიო კრება, აღარაფერს ვამბობთ ადგილობრივ კრებებზე, ყოველთვის უნდა მოქმედებდეს წინამორბედი კრებების მემკვიდრეობითობის ჩარჩოებში. ეს ძალიან კარგად ჩანს თავად ოროსებიდან – მსოფლიო კრებების სარწმუნოებრივი აღმსარებლობიდან. ასე, მაგალითად, VII მსოფლიო კრება, სრულიად მკაფიოდ ადასტურებს რა თავის მემკვიდრეობითობას წინა კრებებთან მიმართებაში, ამბობს: „მოკლედ როვ ვთქვათ: ჩვენ ხელშეუხებლად ვიცავთ ყველა საეკლესიო გადმოცემას,

დამტკიცებულს წერილობით თუ არაწერილობით“. მანამდე ოროსში გადმოცემულია მთლიანი ნიკეა-კონსტანტინეოლის რწმენის სიმბოლო, ანათემირებულია წინა კრებებზე გადაცემული მწვალებლობები და შეკუმშული სახით გადმოცემულია სარწმუნოებრივ-სწავლებითი ჭეშმარიტებები, რომლებიც დაიცვეს წინა კრებებმა. (მაგ. კონსტანტინოპოლის კრების ძეგლისწერის დასაწყისში წერია: „შემოკლებული საზღვარნი დაესხენით, სარწმუნოებაჲ ნიკეას შეკრებილ მამათაჲ დავაბტკიცეთ და წინააღმდეგომნი მისნი წვალებანი შევაჩუენეთ. ამათ გარდა კეთილად წესიერებისათჳსცა ეკლესიათაჲსა სიტყვთ კანონნი განესაზღვრენით, რომელნიცა აქა წიგნსა ამას ჩუენსა შეუდგინეთ“. ხალკიდონის კრების ძეგლისწერა ასე იწყება: „წმიდათა მამათა მიერ თითოეულსა კრებასა შინა ვიდრე აქამომდე დასსხმულთა კანონთა მტკიცედ პერობაჲ განვაჩინეთ“. იუსტინე იმპერატორის დროს კონსტანტინოპოლში შეკრებილი კრების ძეგლისწერაში ჩამოთვლილია წინა კრებების მიერ განხილული ძირითადი საკითხები და ანათემები, და შემდგომ მოსდევს სიტყვები „ხოლი უკეთუ ვინმე ყოველთაგანი არა პირველთქმულთა ამათ კეთილად მსახურებისა სჯულთა შეიტკობდეს და შეუდგეს და ესრეთ აღიარებდეს და ქადაგებდეს, არამედ წინაუკმო გარდაქცევასა ამათსა კელყოფდეს, იყავნ შეჩუენებულ წნაჲსწარ განჩინებულისა მისებრ საზღვრისა პირველმოცსენებულთა მიერ წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათა და ქრისტეანეთა კრებულისაგან, ვითარცა უცხოჲ განიკადენ და განვარდინ, რამეთუ ჩუენ არცა შემატებასა რასმე და არცა დაკლებასა თავს-ვიდებთ, რადთურთით პირველგანჩინებულთა მათ სარწმუნოებისა საზღვართასა, ანუ გარდავჭდებით რომელსაცა სიტყუასა“.

VI მსოფლიო კრების სარწმუნოების განსაზღვრებაში ეკლესიის მამები შეგვახსენებენ იმის შესახებ, რომ არავის ეკლესიაში, როგორი უფლებამოსილებითაც არ უნდა იყოს აღჭურვილი იგი ან როგორ იერარქიულ სამსახურშიც არ უნდა იყოს დადგენილი, არა აქვს არც უფლება და არც ხელმწიფება „იქადაგოს სხვა სარწმუნოება, ან გადმოიწეროს, ამ შეადგინოს, ან გონებაში დაიჭიროს, ან სხვა რაიმე სახით ასწავლოს“. მათ მიმართ, ვინც გაბედავ ამის გაკეთებას, კრებას გამოაქვს მკაცრი განაჩენი განკვეთისა და ანათემისა.

ადგილობრივი საეკლესიო კრების საკითხთა წრისა და მოქმედების ხასიათის შესახებ გამოჩენილი და ავტორიტეტული კანონისტი ეპისკოპოსი მილაში (ნიკოდიმოსი) წერეს: „ადგილობრივი კრებების კანონშემოქმედებითი მოღვაწეობის მიმართ კანონები მიუთითებენ, ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ამ კრებათა კანონები არა მხოლოდ არ უნდა არღვევდნენ საეკლესიო მოწყობის მსოფლიო საფუძვლებს და არ ეწინააღმდეგებოდნენ ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტ სულს, სიწმიდეს, ზნეობრივ სისუფთავესა და ეიარქიულ უფლებებს, არამედ ეხებოდნენ მხოლოდ კანონების კერძო მხარეებს. . . ამიტომ ადგილობრივი კრებების კანონმდებლობას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია ეხებოდეს შიდა საეკლესიო მოწყობის, დოგმატურ, საღვთისმსახურებო და საზოგადო სულიერ-ზნეობრივ საკითხებს. ადგილობრივმა ეკლესიებმა თავიანთ ადგილობრივ კრებებზე ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ მათ მიერ გამოცემული კანონები გამომდინარეობდნენ უშუალოდ საზოგადო კანონიკური დადგენილებებიდან და არ იყვნენ გამოწვეულნი ვნებებით, უცოდინარობით ან რაიმე გარეგანი არასაეკლესიო გავლენით“.<sup>3)</sup>

დღეს დიდ საშიშროებას ქმნის არა იმდენად ის, რომ არქიმწყემსებს შორის ნაკლებად არიან ნამდვილი მოღვაწენი, არამედ ის, რომ მათ გონებაში არეულობაა და არ მძლავრობს აზრი, „მისდინ წმიდა მამებს“. ისინი ცდილობენ დემონსტაციულად ამტკიცონ თავიანთი პირადი მოსაზრებები და გაასაღონ ისინი ეკლესიის სწავლებად. თავად საეპისკოპოსო მადლი არ ნიშნავს იმას, როგორც ეს კათოლიკურ ყაიდაზე ჰგონია ზოგიერთს, რომ ის ხდის ეპისკოპოსს აბსოლუტური უცდომელობის ინსტანციადა და ჭეშმარიტების წყაროდ. მწვალებლობებთან ეკლესიის ბრძოლის ისტორია ძალინ ხშირად სწორედ საპირისპიროს ამტკიცებს.

წინასაკრებო თათბირზე შენევაში მიტროპოლიტმა იოანემ (ზიზიულასი) მართლმადიდებელი ეკლესიის კრებისითი მოწყობა და სრულიად მართლმადიდებელთა ერთობის პრინციპი საკმაოდ ხისტად მიაბა მართლმადიდებელთა მსოფლიო კრების მოწვევის აუცილებლობას, რომლითაც, მისი თქმით, ერთდროულად გადაიჭრება ე.წ. „ავტოკეფალიზმი“. ეს უკანასკნელი სიტყვა, რომელიც პირველად წარმოთქვა პატრიარქმა ბართლომემ თავის სიტყვაში კონსტანტინოპოლში მართლმადიდებელი ეკლესიების თავთა შეკრების გახსნის წინ და რომელიც იქცა რაღაც მართლმადიდებლური სეპარატიზმის აღმნიშვნელად და სიმბოლოდ, სინამდვილეში იფარავს კონსტანტინოპოლის წმინდა ცენტრისტულ პოზიციასა და მისწრაფებებს. მოვიყვანთ მისი უწმინდესობის სიტყვებს: „ჩვენი ავტოკეფალური ეკლესიების შექმნის შემდეგ ჩვენ ხშირად მიგვიჩნევენ ეკლესიების გროვად, და არა ერთიან ეკლესიად. . . ავტოკეფალია არ უნდა იქცეს «ავტოკეფალიზმად»“.



მსოფლიო საპატრიარქოს მიდგომით, მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობა გამოიხატება ადგილობრივი ეკლესიების კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ხაზის ხისტად მიღვენებაში. პატრიარქ ბართლომეს სიტყვის კონტექსტში, ავტოკეფალიზმი გამოიხატება ამა თუ იმ ადგილობრივი ეკლესიის ხაზის კონსტანტინოპოლის მოსაზრებისა და ხაზისაგან განსხვავებულობაში. შემთხვევითი არ არის, რომ პატრიარქმა ბართლომემ არა ერთხელ გაუსვა ხაზი მსოფლიო საპატრიარქოს როლს, როგორც „მართლმადიდებლობის საკოორდინაციო ცენტრისა“.

მიტროპოლიტ იოანეს სიტყვის შეფასებისას აღვნიშნავთ, რომ წინაკრებითი კომისიის თავმჯდომარე არც ერთხელ არ შეეხო საღვთისწავლებო და კონიკური ხასიათის საკითხებს. სინამდვილეში

მს. პატრიარქი ხომ ეს საკითხები წარმოადგენენ ყველა კრების ფუნდამენტს და ავლენენ ბართლომე კრების ჭეშმარიტებას ან არაჭეშმარიტებას. ანუ გარეგნული ფორმალური მხარე განიხილება როგორც ჭეშმარიტებისა და მართლმადიდებლობის გარანტად. ცხადია, რომ მართლმადიდებელთა ერთობის შენარჩუნების საკითხისადმი ასეთი მიდგომა სრულიად მცდარია.

კრების მართლმადიდებლობა აუცილებლად უნდა უკავშირდებოდეს ისეთ პრინციპულ დებულებებს, როგორიცაა:

- კანონიკური ერგულება ეკლესიის მოწყობისადმი, რომელიც დაფიქსირებულია წმინდა კანონებში;
- უსიტყვო მიდევნება მსოფლიო და ადგილობრივი კრებების დადგენილებებისა, რომლებზეც აგებულია მართლმადიდებელი სარწმუნოების სწავლება;
- უკანასკნელი ასევე გულისხმობს წმიდა გადმოცემებისადმი მკაცრ მიდევნებას.

ყველა ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი გადმოცემულია ეპისკოპოს ნიკოდიმოსის (მილაში) მიერ მის ცნობილ ნაშრომში „მართლმადიდებლური საეკლესიო სამართალი“, სპეციალურ პარაგრაფში, რომელიც ეძღვნება მსოფლიო კრებებს.

აქ მოვიყვანთ წმინდა მთის გრიგორიუს მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრის გრიგოლის სიტყვებს: „ეკლესიის მართვის კრებისითობის პრინციპი მხოლოდ მაშინ სუსტდება, როდესაც ეკლესია ტოვებს სწორ ეკლესიოლოგიურ პრინციპებს. ეს ეპიზოდურად ხდებოდა და ხდება აღმოსავლეთის ეკლესიაში. ხოლო დასავლეთში, სადაც პაპიზმა, როგორც არსებობის ტოტალიტარულმა სახემ, თავისით შეცვალა ეკლესიის კრებისითობა, - არაკრებისითობა იქცა საყოველთაოდ მიღებულ ნორმად. . . ეკლესიის ცხოვრების კრებისითობა ამოწმებს ადამიანის ცხონებისა და მის ჭეშმარიტებაში მყოფობის საკითხში ღმრთისა და ადამიანის სინერგიას. კრებები მთელი დაძაბულობით

განიცდიან სინერგიის საიდუმლოს, ამ საიდუმლოებაზეა დაფუძნებული მათი მოღვაწეობა“.

სულიწმიდის თანამოქმედების გარეშე ადამიანურ ძალისხმევასა და შრომისმოყვარეობას არ მოაქვს შედეგი ღმრთის ჭეშმარიტების შეცნობის საქმეში, რასაც ამოწმებს კართაგენის კრება (66): „შემდგომად გამოძიებისა და გამოკულევისა ყოველთავე საეკლესიოდ სახმართა და საჭიროთა ძიებისათა მობერვითა და თანა-მოქმედებითა სულისა ღმრთისათა განვაწესეთ ესეცა“. სულიწმიდა თავისი მონაწილეობით ბეჭედს ასვამს საეკლესიო კრებებს, რომლებიც დგება ან საიდუმლოებების შესასრულებლად, ან სარწმუნოების დაცვის მიზნით კრებისითი განხილვისათვის. III მსოფლიო კრების მამები ადასტურებენ, რომ ნიკეაში შეკრებილმა მამებმა განმარტეს სარწმუნოება სულიწმიდასთან ერთად: „სხვაი სარწმუნოებაი არავინ იკადროს შემოღებად, იგი არს აღწერად ანუ შეწყობას თვინიერ მისსა, რომელი განსაზღვრეს წმინდათა მამათა სულისა თანა წმიდისა“.

საეკლესიო კრებაზე სულიწმიდის შემოქმედებითად მყოფობა კრებას „ღმრთის თანამოქმედად“ აქცევს („სამღუდელოი ესე და ღმრთივშეწევნული კრებაი მსოფლიოისა“ (VI მს.კრ. მე-12 კანონი)). კრებებზე ადამიანები ამოწმებენ იმას, „რასაც იტყვის სული ეკლესიათა“ (გამოცხ. 2,7), ანუ ღმრთის ნებას: „თანად ყოველმან კრებამან თქუა: ჯერ-ჩინებითა ღმრთისათა პირველად უკუე საეკლესიოი განწესებაი მოცემული ჩუენ მიერ დიდებულსა ამას კრებასა სწორითა აღსარებითა ერთხმობით აღიარების. ამისა შემდგომად საეკლესიოი განწესებაი თანაჯერჩინებითა კაცად-კაცადისათა და ერთბამად ყოველთაითა დაემტკიცების“ (კართაგენის კრების 2-ე კანონი). თუ ეპისკოპოსები, რომლებიც შედგენენ კრებას, არ თანამოქმედებენ სიმდაბლით ღმერთთან, რათა მათი ბაგეებით აუწყოს წმიდა სულმა, მაშინ ასეთი კრებები არ აუწყებენ ჭეშმარიტებას, და ეკლესია შემდგომში არ მიიჩნევს მათ „ეკლესიის უცოდველ ბაგეებად“ და „სულიწმიდის საყვირებად“ და, მეტიც, ასეთ კრებებს „ავაზაკთა“ კრებებს უწოდებს. ასეთ კრებებზე არ არის სინერგია და ამიტომ არ არის ჭეშმარიტება. მხოლოდ მაშინ, როდესაც კრების გადაწყვეტილება „სათნოა ღმრთისთვის“, სათნო იქმნება „კაცთათვის“, ანუ ეკლესიური ცნობიერებისათვის: „რომელი-ესე შემსგავსებულად და ჯეროვნად და საცხოვნებლად განსაზღვრეთ თქუენ, ღმრთისა და კაცთა სათნოყოფითა მაგათ მღუდელთა“ (სარდიკიის კრების მე-20 კანონი).

ეკლესიითვის აუცილებელია ის თვალსაზრისი, რომ ეკლესიის მამათა რწმენა კრებების დადგენილებების უმცდარობის შესახებ ვრცელდება არა მარტო უკვე ჩატარებულ კრებებზე, არამედ იმ კრებებზეც, რომელთა ჩატარებაზეც შეიძლება იყოს საუბარი.

წმ. გრიგოლ ნოკესარიელი იმ ქრისტიანების მიმართ, რომლებიც ბარბაროსებთან თანამშრომლობდნენ თანამეტომეთა და თანანათესავთა საზიანოდ, ამბობს, რომ ისინი მსმენელებადაც არ უნდა შაუშვან ეკლესიაში, მანამდე „ვიდრემდის საზოგადოი რაიმე განჩინებაი გამოვიდოდის მათთვის ერთად შეკრებულთა წმიდათაგან და პირველად მათსა სულისა წმიდისაგან“. ამ კანონიდან ცხადი ხდება, რომ სულიწმიდასთან ვერტიკალური ურთიერკავშირი გულისხმობს „ერთად შეკრებულთა“, ანუ კრებად შემდგარ წმიდა მამათა ჰორიზონტალურ ურთიერთკავშირს. ქრისტეში ერთობით კრებისითად და თანამოაზროვნეობით იხსნება ეკლესიის ჭეშმარიტება. ამიტომ იწოდება საეკლესიო კრება, ქალკედონის კრების თანახმად, კანონმდებლურად (ΚΟΙΝΟΒΟΥΛΙΟΝ). ერთ ადამიანს არ შეუძლია ჰქონდეს *ex officio* უცდომელი მსჯელობა, ვინაიდან ეს იქნებოდა საძაგელი ეკლესიის ბუნებისათვის, როგორც კრებულისათვის. „განა არის ვინმე, ვინც დაიჯერებდა, რომ ჩვენმა ღმერთმა მისცა რომელიმე ერთს, ვინც არ უნდა იყოს იგი, მიაღწიოს სამართლიან გადაწყვეტილებას, ხოლო უამრავ კრებით გაერთიანებულ ეპისკოპოსს უარი

უთხრა ამაზე? საკითხის ასე დაყენება იქნებოდა ამსოფლური სულის შეჭრა ეკლესიაში, ამიტომაც კატეგორიულად იგმობა კართაგენის კრების მამათა მიერ<sup>(4)</sup>.

თუ გადავხედავთ იმ საკითხებს, რომლებიც განხილულ უნდა იქნენ ზემოთხსენებულ მსოფლიო კრებაზე – ყველა ისინი თავისი არსით ან შეეხებიან სარწმუნოებას (კონფესიათა და რელიგიათა შორის დიალოგი, ერთობლივი ღოცვები), ან ეკლესიის კანონებს (პასქალიისა და კალენდრის, სასულიერო პირების მეორედ ქორწინების, მარხვების შემცირებისა და შესუსტების, დიასპორისა და ა.შ. შესახებ საკითხები). და წინასააკრებო კომისია, ფაქტობრივად, მიზნად ისახავს მსოფლიო კრებებზე მიღებული და დამტკიცებული კანონიკური კანონების გადახედვას. უკვე ამიტომ არ შეგვიძლია ვუწოდოთ მოსალოდნელ მსოფლიო კრებას მართლმადიდებლური. თავისი მიზნებითა და სულით ის უცილობლად იქნება რეფორმატორული სულის მატარებელი. ამიტომ საკრებო ფრაზა „**ჯერ-უჩს წმიდასა სულსა და ჩუენცა**“ იქნება მხოლოდ ყალბი საფარველი უკანონო ქმედებებისათვის. უეჭველია, რომ ასეთი კრების გადაწყვეტილებები უარყოფილი იქნება ეკლესიის სისხლის მიერ.

თვით დიასპორის საკითხი, რომელსაც მსოფლიო საპატრიარქო განიხილავს როგორც „ახალ მოვლენას მართლმადიდებელი ეკლესიისათვის“, ასევე გამოგონილი პრობლემაა. და მისწრაფება, გადაწყვიტოს ხელოვნურად შექმნილი ეს პრობლემა, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მსოფლიო საპატრიარქო დაავადებულია კოსმოპოლიტიზმის სულით. შესაძლოა ეს სიტყვები რამდენადმე მკვეთრია, სამაგიეროდ ზუსტად გამოხატავს კონსტანტინოპოლის დღევანდელ საეკლესიო ამბიციებს. დიასპორის საკითხი, მაშინაც კი, თუკი იგი იარსებებდა როგორც პრობლემა, სრულებითაც არ მოითხოვს მის განხილვას უმაღლეს საეკლესიო დონეზე. ბევრი საკითხი თუნდაც კანონიკური რიგისა სავსებით შეიძლება განიხილებოდეს ეკლესიათა წარმომადგენლებს შორის მიმოწერის დონეზე, რომელთა პოზიციები საგანგებოდ იქნებოდა მომზადებული კანონიკური სამართლისა და სარწმუნოების საკითხთა სპეციალური კომისიის მიერ ყოველ ავტოკეფალურ ეკლესიაში.

ჩვენ ჩვენის მხრივ არა მხოლოდ ეჭვს ქვეშ ვაყენებთ მსოფლიო კრების მოწვევის მიზანშეწონილობას, არამედ, შიდაეკლესიურ ცხოვრებაში თანამედროვე ნეგატიური ტენდენციების, იერარქების ხშირად თვითნებური და დოგმატიკურ-კანონიკური ანარქიის მატარებელი პოზიციების გათვალისწინებით, ვერ ვხედავთ მისი მოწვევის აზრს. ის შეიძლება შედგეს როგორც დაგროვილი ნეგატიური ტენდენციების გადაჭრის მიზნით მოწვეული სრულიად მართლმადიდებელთა თათბირის სახით.

მაგრამ მართლმადიდებელი ეკლესიის „საკოორდინაციო ცენტრის“ გასაკვირი სიჯიუტე, რამაც ეკუმენისტური საქმიანობის მიმართულებით უკვე საშიში ხასიათი მიიღო, ეკლესიას დანგრევის მიჯნაზე აყენებს. ამიტომ თანადროულად მივიჩნიეთ ღირსი იუსტინეს (პოპოვიჩი) სიტყვების შესხენება, რომელიც შეეხება მართლმადიდებელთა საყოველთაო კრების ჩატარების მიზანშეწონილობას: „**რამდენად ნორმალური და მორალურია ის, რომ მაშინ, როდესაც უფალი ჩვენი იესო ქრისტე და მასი რწმენა ჯვარს იცმება უფრო საშინლად, ვიდრე ოდესმე, ამ დროს მისი მიმდევრები განიხილავენ საკითხს, თუ ვინ იქნება მათ შორის პირველი; რომ იმ დროს, როდესაც სატანა ერჩის რა მარტო სხეულს, არამედ ადამიანისა და მსოფლიოს სულს, როდესაც ადამიანს თვითგანადგურება ემუქრება, ამ დროს ქრისტეს მოწაფეები იმავე საკითხებით არიან დაკავებულნი, როგორითაც ანტიქრისტიანული იდეოლოგიები, რომლებიც ცხონების პურს ოსპის სალაფავზე ჰყიდნიან. . . ჩემი სინდისი მაიძულებს ისევ მივმართო ვედრებით სერბეთის მოწამებრივი ეკლესიის წმიდა სინოდს: დე, სერბეთის ეკლესიამ თავი შეიკავოს ე.წ. სრულიად მართლმადიდებელთა კრების მომზადების საქმეში და თავად მასში მონაწილეობისგან. რადგან, თუკი, ღმერთმა ნუ ქნას, ასეთი კრება ჩატარდება, მისგან მხოლოდ ერთს უნდა მოველოდეთ: განხეთქილებებს, მწვალებლობებსა და მრავალი სულის დაღუპვას. და ეკლესიის ისტორიული სამოციქულო-წმიდამამობრივი**

გამოცდილებიდან გამომდინარე, ასეთი კრება კურნების ნაცვლად ახალ ჭრილობებს გააჩენს ეკლესიის სხეულზე და შექმნის მისთვის ახალ პრობლემებსა და გაჭირვებებს“

ცნობილი თეოლოგი და მართლმადიდებლობის დამცველი, თესალონიკის უნივერსიტეტის პროფესორი, პროტოპრესვიტერი თეოდორე (ზისისი), ანალიზებს რა 1961 წლის შემდეგ ჩატარებულ სრულიად მართლმადიდებელთა თათბირებს, სრულიად სამართლიანად აკეთებს დაკვნას მათი აბსოლუტურად არამართლმადიდებლურობის შესახებ, რადგან მათზე მიღებული გადაწყვეტილებები „არსობრივად მიიღება ეკლესიის სისავსის იგნორირებითა და ღირსეული და სარწმუნოების ხელუხლებლობის მიმართ სიფრთხილის გამოჩენასთან დაკავშირებით“ პატივცემული პირების რეკომენდაციების გათვალისწინების გარეშე.<sup>5)</sup>

ეყრდნობა რა ეკლესიის ისტორიულ გამოცდილებას, მამა თეოდორე აღნიშნავს, რომ არავითარი აუცილებლობა არაა ჩავთვალოთ, რომ მხოლოდ მსოფლიო თათბირებია სარწმუნოების შენარჩუნების რაღაც გარანტები, რადგან „ჭეშმარიტება შეიძლება დაიცვას ადამიანთა შედარებით მცირე რაოდენობამ და თვით ერთმმა ადამიანმა, როგორც ეს ხშირად ხდებოდა საეკლესიო ისტორიაში“. საგულისხმოა არც თუ შორეულ წარსულში ცნობილი სამწუხარო შემთხვევა, როდესაც 1923 წელს მართლმადიდებელთა საყოველთაო თათბირმა კონსტანტინოპოლში, საერთო საეკლესიო კრებისთი გონის გვერდის ავლითა და მის საწინააღმდეგოდ, ძალადობრივად გაატარა კალენდარული რეფორმა.

საკმარისია შევხედოთ განსახილველად შემოთავაზებულ საკითხებსა და შევაფასოთ მათი განხილვის ხერხები და პრინციპები, რომ მივხვდეთ, თუ როგორი საფრთხის ქვეშ ვაყენებთ ჩვენ ჩვენს ეკლესიას, თუკი დავთამხდებით მის მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობის მიღებას. ის აუცილებლად მიგვიყვანს განხეთქილებათა და არა ეკლესიის ერთობისაკენ. კალინდრის ტრაგიკული, თვითნებური რეფორმის გატარების შედეგად თავისი სამწყსოს დაკარგვის სამწუხარო მაგალითს თავად კონსტანტინოპოლის ეკლესია იძლევა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, მისი წინამძღოლების რეფორმატორული განწყობილება, სავსებით გვაძლევს უფლებას უარყოთ პატრიარქ ბართლომეს თეზისი მსოფლიო საპატრიარქოს, როგორც „მართლმადიდებელი ეკლესიის საკოოპდინაციო ცენტრის“ შესახებ. 1923 წლიდან მსოფლიო საპატრიარქო ხდება მართლმადიდებლობის რღვევისა და განადგურების ცენტრი. ამიტომ თავად იდეა სრულიად მართლმადიდებელთა კრების მოწვევის შესახებ წარმოადგენს არა მსოფლიო მართლმადიდებლობის ერთობის განმტკიცებისაკენ სწრაფვას, არამედ გვევლინება მთავარ ნაბიჯად მართლმადიდებელი ეკლესიის დანგრევის გეგმის განხორციელების გზაზე. თუ კრება შედგა, მსოფლიო პატრიარქ ბართლომეს მიერ შემოთავაზებული საკითხები, ეჭვი არ არის, განხილულ იქნება სეკლესიო ცხოვრების სეკულარიზაციისა და ლიბერალიზაციის სიბრტყეში, და, შესაბამისად, მართლმადიდებელი ეკლესიის კონიკური წყობის დანგრევის მიმართულებით. ეს კი, თავის მხრივ, ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს აუცილებლად დააყენებს (მაცდუნებელი-მთარგ.) არჩევანის წინაშე თუ ვისთან იყოს – განმდგომ იერარქიასთან, თუ დაშორდეს მას და ეძებოს სხვა მართლმადიდებლური იურისდიქციები.

1. Ομιλία τοῦ Σεβ. Μητροπολίτου Περγάμου κ. Ἰωάννου, Προέδρου τῆς Πανορθοδόξου Διασκέψεως, κατὰ τὴν ἑναρξιν τὴν ἔργασιν αὐτῆς. Ὁρθόδοξον Κέντρον τὸν Οἴκουμενικὸν Πατριαρχεῖον, Σαμπεζύ Γενεύης, 8 Ἰουνίου 2009. [http://www.w3.org/TR/xhtml1/DTD/xhtml1-](http://www.w3.org/TR/xhtml1/DTD/xhtml1-transitional)

2. Ομιλία τοῦ Σεβ. Μητροπολίτου Περγάμου κ. Ἰωάννου, Προέδρου τῆς Πανορθοδόξου Διασκέψεως, κατὰ τὴν ἑναρξιν τὴν ἔργασιν αὐτῆς. Ὁρθόδοξον Κέντρον τὸν Οἴκουμενικὸν

Πατριαχείου, Σαμπεζύ Γενεύης, 8 Ιουνίου 2009. <http://www.w3.org/TR/xhtml1/DTD/xhtml1-transitional>.

3. Никодим, епископ Далматинский. Православное церковное право. СПб 1897, с. 454
4. (Αρχιμ. Γεωργίου Καψάνη. Η Ποιμαντική διακονία κατά τούς ιερούς κανόνες. Αθήναι 2003. Έκδ. Άθως, Η συνοδική δομή τής Έκκλησίας και ή υπό τών Ποιμένων συνοδική διαχείρισις τών έκκλησιαστικῶν πραγμάτων, , σελ. 113-130.) (აქვე აღვნიშნოთ, რომ სარდოკიის კრების მე-3, მე-4, და მე-5 კანონები რომის ეპისკოპოსს არ აღჭურვავენ რაიმე უმაღლესი ხელისუფლებით, არამედ, არიანის მწვალებლობის ფართოდ გავრცელებასთან დაკავშირებით, „დროებით აღგენენ მას პასუხისმგებლად უკვე არსებული პრობლემების გადაჭრაზე“ (Φειδᾶ Βλασίου. Προϋποθέσεις διαμορφώσεως του θεσμού τής Πενταρχίας τών Πατριαρχῶν Ἀθῆναι, 1969, σ. 121)
5. Πρωτοπρ. Φεώδορος Ζήση/Ομολογία πίστεως. Ηύφρανε τούς Ορθοδόξους και κατήχυνε τούς κακοδόξους./ Ορθόδοξος Τύπος. 7 Αυγούστου, σελ.5η

დანართი 2

*Πρωτοπρ. Φεώδορος Ζήση*

## **Πανορθόδοξος απόφασις ὄχι τής Ἐκκλησίας, ἀλλά ὀμάδος οἰκουμενιστῶν**

**პროტოპრესვიტერი თეოდორე ზისისი  
თესალონიკის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი**



იუდას ამბორი, პალერმოს მოზაიკა მე-13 ს. – შესანიშნავი სახე, რომელიც ახასიათებს სრულიად მართლმადიდებელთა თათბირების მოღალატურ საქმიანობას



სრულიად მართლმადიდებელთა თათბირების გადაწყვეტილებები – ეს ეკლესიის  
გადაწყვეტილება კი არ არის, არამედ ეკუმენისტთა ჯგუფისა  
(შემოკლებული თარგმანი)

სრულიად მართლმადიდებელთა თათბირის (კონსტანტინოპოლი, 2008წ.) გადაწყვეტილებას ეკუმენისტურ მოძრაობაში მონაწილეობის შესახებ არ ამართლებენ არც ის ეკლესიები, რომლებიც აგრძელებენ მასში მონაწილეობას, არც ისინი, რომლებიც კრიტიკულად უყურებენ ეკუმენიზმს და განერიდებიან მას, ასევე ის კლირიკოსები და ღვთისმეტყველნი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ეკუმენიზმს მრავალი სერიოზული მიზეზის გამო. უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ ეს გადაწყვეტილებები მიიღება ეკლესიის სისავსის იგნორირებით. უკიდურესად მარტივი გახდა სხვადასხვა საშუალებებით წინასწარ ჩაფიქრებული გადაწყვეტილების მიღება ურყევი ეკუმენისტების ჯგუფისაგან, როდესაც ეს გადაწყვეტილებები არ მიიღება ძველი მსოფლიო და ადგილობრივი კრებების მაგალითის მიხედვით, როდესაც კრებაზე მონაწილეობს არა ყველა ეპისკოპოსი, არამედ ადგილობრივი ეკლესიებიდან წარგზავნილნი, ხშირ შემთხვევაში, დამყოლი წარმომადგენლები. ისიც აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებელი იერარქიის დიდი ნაწილი არ მოქმედებს უკონტროლოდ და იმედებს ამყარებს ყოველდღიურად მზარდ ეკუმენისტურ კოროზიასა და ცნობიერების ცვლილებაზე სასურველი შედეგის მიმართულებით.

მიტომ, სამოციქულო და წმინდა მამათა გადმოცემის თანახმად, არ არსებობს არავითარი აუცილებლობა, მორჩილება გავწიოთ ერეტიკული კრებების მიმართ, დავემორჩილოთ უკანონო ხელმძღვანელების მიერ ჩატარებულ სხდომებს. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ მოციქულებს მოუწევდათ, დათანხმებოდნენ ღმერთ-კაც ქრისტეს მიმართ უკანონო იუდეური სინედრიონის განაჩენს, ხოლო წმიდა მამები მიიღებდნენ მე-4 და მე-8-9 საუკუნეებში არიანული და ხატმებრძოლური კრებების გადაწყვეტილებებს. რომ არ ყოფილიყვნენ მებრძოლი წმიდა მამები, ეკლესია ბედის ანაბარა იქნებოდა დაგდებული. დღესაც ეკლესია ბედის ანაბარა დარჩება, თუ დავუჯერებთ რეკომენდაციებს მორჩილების გაწევის შესახებ, მივითებთ ვითომ სრულიადმართლმადიდებლურ გადაწყვეტილებებს მართლმადიდებლების ეკუმენისტურ, ანუ სინკრეტულ კონფესიათაშორისი და რელიგიათა შორისი მოძრაობაში მონაწილეობის შესახებ. ახალმოწინააღმდეგეების სახელი, რომელიც ჩვენ მოგვაკერეს, არ არის ჩვენთვის საყვედური და ნიშნისმოგება, არამედ ქებაა, იმიტომ რომ ჩვენ არ წარმოვაჩინოთ ჩვენს თავს, არ მივღევთ ეკუმენისტების ახალმოვლენილ სწავლებებს, არამედ მივდივართ მწვალებლობებთან მებრძოლი წმიდა მამების გზით, რომლებსაც ამცირებენ, ძულთ და შეურაცხყოფენ ეკუმენიზმის კორიფეები, – ბორიტი გველის ორგანოები. რწმენას სიმართლისა, რომელსაც ჩვენ ვიცავთ, ჩვენ ვპოვებთ არა ჩვენს საუნივერსიტეტო აკადემიურ განათლებაში, არამედ მოციქულთა და წმიდა მამათა მკაცრ და განუხრელ მიდევნებაში.

საღმრთო გამოცხადების კანონიკური ჭეშმარიტებანი თავმოყრილია "სჯულის კანონში" და სავალდებულოა ყველა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, ვინაიდან ისინი

დამტკიცებულია წმ. მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებებზე სულიწმიდის კარნახით, თანახმად მოციქულთა კრების იმჟამინდელი და საპერსპექტივო ფორმულირებისა:

"ჯერ-უჩნდა სულსა წმიდასა და ჩუენცა" (საქმე 15:28). აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სჯულის კანონში შეკრებილი წესები სავალდებულოა ყველა დროისათვის და მათი შეცვლა-განახლება მართლმადიდებლური მოძღვრებით მკაცრად იკრძალება (ეს განსაკუთრებით ეხება სარწმუნოების სიწმიდის დასაცავად შემოღებულ კანონებს), სიტყვისამებრ ღვთისა "ცანი და ქუეყანაი წარხდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არსადა წარხდენ" (მარკ. 13:31). იგივეს წარმოთქვამენ წმ. კრებები და წმ. მამები:

1) მე-6 წმ. მსოფლიო საეკლესიო კრება, საქმე 8: **"სამგზის ანათემა ყოველგვარ სიახლესა და ქმედებას საეკლესიო გადმოცემებისა და წმიდა და ნეტარხსენებული მამების სწავლებისა და განწესებათა წინააღმდეგ"** (Учение православной церкви о Священном Предании и отношении ее к Новому стилю; Составлено Афонскими ревнителями православного благочестия; стр. 10, СПб, 1990 г.).

2) მე-6 წმ. მსოფლიო საეკლესიო კრება, კანონი 2: **"დაე, ნურავისთვის იქნება ნებადართული ზემოაღნიშნულ კანონთა (მე-6 მსოფლიო კრებამდე შემდგარი მსოფლიო და ადგილობრივი კრებების კანონების = გ. გ.) შეცვლა, ანდა გაუქმება... ხოლო თუ ვინმეს ემხილოს, რომ ზემოთქმულ კანონთაგან რომელიმეს შეცვლა, ან გარდაქმნა დააპირა, ასეთი ვალდებულია მის მიერ ხელყოფილი კანონით განსაზღვრული ეპიტიმია იტვირთოს..."** (Правила Православной Церкви с толкованиями Никодима, Еп. Далматинско-Истрийского; стр. 435; СПб, 1911 г.).

3) აღმოსავლეთის პატრიარქების მიერ განხილული და დამტკიცებული "მართლმადიდებლური აღსარება აღმოსავლეთის საყოველთაო და სამოციქულო ეკლესიისა": **"უნდა გვწამდეს, რომ ყოველივე, რაც წმ. მამებმა დაადგინეს ყველა მსოფლიო და ადგილობრივ კრებაზე, განურჩევლად შედგენის ადგილისა, წარმომდინარეობს სულიწმიდისგან, ვითარცა მოციქულებმაც თავიანთ კრებაზე თქვეს: "ჯერ-უჩნდა სულსა წმიდასა და ჩუენცა" (საქმე 15:28). მათი მაგალითით შემდგომმა მართლმადიდებელმა კრებებმაც მსგავსი დასკვნით თავიანთი დადგენილებანი დაამტკიცეს"** (Православное исповедание кафелической и Апостольской Церкви Восточной; ч. 1, отв. 72; ციტ. Правила Православной Церкви... стр. 20).

4) წმ. კირილე იერუსალიმელი (IV ს.) გვმოდვრავს: **"უმჯობესია ცა და მზე შეიცვალოს, ვიდრე საეკლესიო კანონებმა რაიმე ცვლილება განიცადოს, რამეთუ წმ. ეკლესია ღმერთის სიტყვით არის დამტკიცებული, სიტყვა ღმრთისა კი ცასა და მიწაზე უმყარესია, სიტყვისამებრ ქრისტესი: "ცანი და ქვეყანაი წარხდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არსადა წარხდენ"** (Учение православной церкви... стр. 20).

5) წმ. აღმსარებელი თეოდორე სტუდიელი (VIII-IX სს.) გვმოდვრავს: **"ეპისკოპოსებს როდი მიეცათ ხელმწიფება რომელიმე კანონის დარღვევისა - მათ უნდა მისდიონ განწესებებსა და დაადგინენ უწინდელს. არ ეპატიება არც ჩვენ ეკლესიას და არც სხვას, რომ მოიმოქმედოს რაიმე დადგენილი კანონებისა და წესების საწინააღმდეგოდ"** (იბიდე; გვ. 20);

6) ხმა წმიდის ათონისა: "ვინც შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების წმ. მამათა კანონებსა და დადგენილებებს იცავს (ხელყოფისგან-შემდგ.), იგივეა, რომ დოგმატს იცავდეს, ვინც ტანჯვას დაითმენს ჭეშმარიტებისთვის, მას ეს ღვაწლი უფალი ღმერთისაგან მოწამეობად შეერაცხება. მკაცრად დავიმარხოთ წმ. მამათა ნაანდერძევი. მეოხვეყოთ ერთმანეთს ჩვენი მართლმადიდებელი სარწმუნოების დაცვაში და ღმერთის შეწევნით უღმრთო სიახლენი მოვიგერიოთ" (იბიდე, გვ. 22)

დანართი 4

Позиция Московского Патриархата относительно  
Предстоящего Межправославного Сопевщания

მოსკოვის მსაპატრიარქოს პოზიცია  
მოსალოდნელ სრულადმართლმადიდებელთა კრების მიმართ  
(ამონარიდი)

არსებითად, მართლმადიდებელ ეკლესიას უნდათ რომ თავს მოახვიონ ის მოდელი, რომელიც არსებობს კათოლიკურ ეკლესიაში – ეს არის მაქსიმალურად ცენტრალიზებული საეკლესიო ძალაუფლების მოდელი, რომლის თავში ერთი ეპისკოპოსია და რომელიც არის მსოლიო ეკლესიის თავი. ამ მოდელით კონსტანტინოპოლის პატრიარქმა უნდა მართოს ე.წ. დიასპორის ყველა ეკლესია. ანუ გაერთიანებები, რომლებიც არ იმყოფებიან ისტორიული, კანონიკური, ეროვნული ეკლესიის საზღვრებში, უნდა შევიდნენ მსოფლიო საპატრიარქოს იურისდიქციაში. მართლმადიდებელურ ტრადიციაში არასდროს არ არსებობდა ასეთი მოდელი. ჩვენ არა გვაქვს უფლება, შევცვალოთ ჩვენი სწავლება ეკლესიის შესახებ. რუსეთის ეკლესიას არ შეუძლია დაეთანხმოს კონსტანტინოპოლის თავსმოხვეულ მოდელს, რომლის თანახმადაც ჩვენ ყველა ჩვენი საზღვარგარეთული ტაძარი და ეპარქია კონსტანტინოპოლის იერარქებს უნდა მივცეთ.

<http://apologet.spb.ru>